ოქმი #15

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 04 ოქტომბერი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, ო. ჩაკვეტძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, დ. მუშკუდიანი, ნ. ბურჯალიანი, ზ. მეშველიანი, თ. ნემსწვერიძე, გ. გურგუჩიანი, ნ. ტვილდიანი, ბ. ახვლედიანი, რ. ყურაშვილი, მ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე, ა. თვარაძე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 მაისის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 27 დეპუტატი/

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მერვე ცვლილების საფუძველია ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის განკარგულება, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანების მრავალწლიანი შესყიდვისთვის გამიცხადდა კონსოლიდირებული ტენდერი. ტენდერის შედეგად ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო ერთი ერთეული ნაგავმზიდი, რომლის ღირებულება განისაზღვრა 430 630 ლარის ოდენობით. ტენდერის პირობების შესაბამისად 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40-ს, ხოლო 2024 წელს - სრული ღირებულების 60-ს. ზემოთ აღნიშნული განკარგულებიდან გამომდინარე გამოყოფილი თანხა შემოსულობებში აისახება გრანტებში 172 252 ლარი, ხოლო გადასახდელებში - მერიის არაფინანსური აქტივები 172 252 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდება 172 252 ლარით და შეადგინა 23 327,26 ათ. ლარი.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, გ. გუგავამ, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

(განკარგულება თან ერთვის)

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 მაისის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2023 წლის 26 ივლისს საკუთრებაში გადმოგვცა პროფ. სასწავლებლის საკუთრებაში არსებული და ამავე სასწავლებლის ეზოში მდებარე ხუთი ერთეული სხვადასხვა სახის ტექნიკა - სამი ავტომანქანა და ორი ტრაქტორი. ტექნიკა გაძარცვულია, მათი აღდგენა და შემდგომში ექსპლოატაციაში გამოყენება შეუძლებელია, ტექნიკა განეკუთვნება ჯართის კატეგორიას. წინასწარი შეფასებით ტექნიკის საერთო წონა დაახლოებით ოთხი ტონაა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია შემოდის საკრებულოს წინაშე წინადადებით, შეტანილი იქნას წარმოდგენილი ტექნიკის ნარჩენები საპრივატიზაციო ნუსხაში, რათა შემდგომში მოხდეს მისი რეალიზაციაელექტრონული აუქციონის ფორმით.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, რ. ხეცურიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული განკარგულება სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სიტყვა ითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ცაგერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ მალხაზ მურცხვალაძემ, რომელიც ფრაქციის სახელით შემოვიდა ორი ინიციატივით: სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ფრაქცია ,,ცაგერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გლობალური დათბობის გამო სტიქიურმა მოვლენებმა მასიური ხასიათი მიიღო, რომლის პროგნოზირება და ხშირ შემთხვევაში მასთან შებრძოლება შეუძლებელია, მაგრამ ხელისუფლება ვალდებულია პრევენციის სახით მიიღოს რიგი ღონისძიებები. რისკის ქვეშ დგას მუნიციპალიტეტის ცენტრალური დასახლება-ქალაქი ცაგერი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ხელოვნურ წყალსაცავს და დასახლება 10-15 მეტრით დაბლაა. უეცარი წყალმოვარდნის შემთხვევაში მოსახლეობა შეიძლება აღმოჩნდეს სასიცოცხლო რისკის ქვეშ, ამიტომ კრიტიკული სიტუაციის შემთხვევაში აუცილებელია გამაფრთხილებელი სასიგნალო სისტემა და საჭიროების შემთხვევაში საევაკუაციო გეგმის არსებობა. ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის დროს მაღალი რისკის ზონაში არსებულ დასახლებებში გასათვალიწინებელია მდინარეების კალაპოტების გაწმენდითი და ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტები. მეორე ინიციატივაა მოსახლეობის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით პრობლემების მოგვარების გზა, აღნიშნული პრობლემა არის კომპლექსური, თითქმის ყველა სოფელში არსებობს სასმელი წყლის პრობლემა. კერძო ბიზნესი არ ინტერესდება წყალმომარაგების სამუშაოების შესრულებით, რადგან ფინანსური მოგება ან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს, კერძო ბიზნესი კი ორიენტირებულია მოგებაზე. ფრაქცია ,,ცაგერი საქართველოსთვის“ შემოვიდა ინიციატივით - მუნიციპალიტეტის მერიამ თავის სტრუქტურაში დააფუძნოს მუნიციპალური შ.პ.ს., რომელსაც დაევალება არსებული პრობლემის მოგვარება, მუნიციპალიტეტთან კანონმდებლობით დადებული ხელშეკრულებით ვალდებული იქნება წყალსადენთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებაზე.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქცია ,,ცაგერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარეს მალხაზ მურცხვალაძეს უპასუხა საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა, აღნიშნა რომ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით საკითხი დაყენებულია საგზაო დეპარტამენტში, 2022-2023 წლებში განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, კერძოდ

ცხენიწყლის ხეობაში სოფელ ჩხუტელიდან სოფელ დეხვირის მიმართულებით და აგრეთვე სოფელ წიფერჩიდან სოფელ ლარჩვალის მიმართულებით. ნაპრსამაგრი სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულებულია. დაგეგმილია და უახლოეს მომავალში დაიწყება ლაჯანურის ხეობაში მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები. რაც შეეხება გამაფრთხილებელი სასიგნალო სისტემის დამონტაჟებას და საევაკუაციო გეგმის არსებობას, გათვალიწინებული იქნება.

შ.პ.ს.-ს შექმნას რაც შეეხება, მუნიციპალიტეტში არსებობს კეთილმოწყობის სამსახური, ამ სამსახურს შეიძლება ჰყავდეს ყველა სოფელში მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება წყალსადენთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გაგრძელდეს მოკვლევა და მსჯელობა, რათა დავდგეთ სწორ მიმართულებზე, რომელიც უზრუნველყოფს ამ საკითხის მოგვარებას.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ჭაბუკი ჭაბუკიანი**